საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №119/ნ
2022 წლის 8 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 24/05/2016, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.017112) პირველი მუხლით დამტკიცებულ „ეროვნულ სასწავლო გეგმაში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 58-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

2. 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

3. 62-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად;

4. 68-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად;

5. 69-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №5-ის შესაბამისად;

6. 71-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №6-ის შესაბამისად;

7. 74-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №7-ის შესაბამისად;

8. 78-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №8-ის შესაბამისად;

9. 79-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №9-ის შესაბამისად;

10. 81-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №10-ის შესაბამისად;

11. 81-ე მუხლის შემდეგ დაემატოს 81^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №11-ის შესაბამისად.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი – მე-10 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ბრძანების პირველი მუხლის პირველი – მე-10 პუნქტები ამოქმედდეს 2023 წლის 15 სექტემბრიდან, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების მიზნებისთვის – გამოქვეყნებისთანავე;

3. ბრძანების პირველი მუხლის მე-11 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 15 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **თამარ მახარაშვილი**